

## ეკონომიკა

### იაპონიის ეკონომიკა გლობალიზაციის პერიოდში



ტოკიოს საფონდო ბირჟა - ტოკიოს საფონდო ბირჟა წარმოადგენს იაპონიის უძველეს ბირჟას. დაფუძნდა 1878 წელს. (ფოტო Getty Images-სგან)

#### სწრაფი ზრდის პერიოდი

ომისშემდგომი იაპონიის ეკონომიკა განვითარდა მეორე მსოფლიო ომის დროს განადგურებული სამრეწველო ინფრასტრუქტურის ნარჩენებიდან. 1952 წელს, მოკავშირეთა ოკუპაციის პერიოდში იაპონია წარმოადგენდა „ნაკლებად განვითარებულ“ ქვეყანას, სადაც ერთ ადამიანზე გათვლილი საარსებო ხარჯები დაახლოებით ამერიკის შეერთებული შტატების იმავე მაჩვენებლის 1/5-ს შეადგენდა. მომდევნო ორი ათწლეულის დასრულების შემდეგ, იაპონიის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელმა 8% შეადგინა, რის შედეგადაც ქვეყანამ ომის შემდგომი პერიოდის „ნაკლებად განვითარებული“ ქვეყნის სტატუსიდან „განვითარებული“ ქვეყნის სტატუსს მიაღწია, რაც ძირითადად განპირობებული იყო სამომხმარებლო ხარჯების მაღალი მაჩვენებლით. ასევე ნიშანდობლივი წვლილი შეჰქონდათ ინვესტიციებს კერძო სექტორის

ინფრასტრუქტურის განსავითარებლად, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე მუშახელს, იაფი ნავთობის დიდ რაოდენობას, ახალ ტექნოლოგიებსა და ეფექტურ სახელმწიფო ინტერვენციას სამრეწველო კერძო სექტორში. იაპონია წარმოადგენდა სწრაფი ეკონომიკური განვითარების ბენეფიციარს, რომლის მნიშვნელოვანი მიღწევა ომის შემდგომ პერიოდში იყო თავისუფალ ვაჭრობაზე გადასვლა, რაშიც მას ხელი შეუწყო საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მისმა ზოგადმა შეთანხმებამ ტარიფებსა და ვაჭრობაზე. 1968 წლისთვის იაპონიის ეკონომიკა ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ მსოფლიოში სიდიდით მეორე გახდა.



სავტომობილო ქარხანა ასაწყობ ხაზზე განლაგებულ ავტომობილებში მიმდინარეობს დეტალების მონტაჟი (ფოტო Toyota Motor Corporation-ისგან)

1950-70-იან წლებში იაპონიის ურბანიზაციის ინდექსი გაიზარდა 38%-დან 72%-მდე, რამაც, შესაბამისად, მუშახელის რაოდენობის გაზრდა გამოიწვია. იაპონური მრეწველობის კონკურენტუნარიანობა გამყარდა ექსპორტის ზრდასთან ერთად, რომლის პროცენტულმა მაჩვენებელმა 1960-იან წლებში წელიწადში საშუალოდ 18.4% შეადგინა. 1960-იანი წლებიდან მოყოლებული 1973 წლის ნავთობის კრიზისის დადგომამდე, მიმდინარე ანგარიშებზე დაგროვდა ფულადი რესურსი. ეკონომიკურ წინსვლასთან ერთად ვითარდებოდა კერძო სექტორის ინფრასტრუქტურა და ასევე გაიზარდა პირადი

დანაზოგების მაჩვენებელი. ყოველივე ამან კი შედეგად გამოიწვია იაპონიის მრეწველობის სტრუქტურული ცვლილებები. იმის გათვალისწინებით, რომ ადრე ეკონომიკის ძირითადი დარგებიდან პრიორიტეტული იყო სოფლის მეურნეობა და მსუბუქი მრეწველობა, თანდათან უფრო მნიშვნელოვანი გახდა მძიმე მრეწველობა. ინდუსტრიულ სექტორში წამყვანი დარგი გახდა გემთმშენებლობა, ლითონისა და რკინის, ჩარხების, ავტომობილების, ასევე ელექტრო მოწყობილობების წარმოება. 1960 წლის დეკემბერში, პრემიერ-მინისტრმა იკედა ჰაიატომ წარადგინა შემოსავლების გაორმაგების გეგმა, რომლის მიზანი იყო 1961-1970 წლებში 7.8% წლიური ზრდა. სახელმწიფო ეკონომიკური დაგეგმარება, რომელიც მიზნად ისახავდა სამრეწველო საფუძვლების გაძლიერებას, საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა; 1968 წელს ეროვნული შემოსავალი გაორმაგდა და საშუალო ზრდის პროცენტულმა მაჩვენებელმა მიაღწია 10%-ს.

## მდგრადი ეკონომიკა

1973-77 წლებში პრემიერ-მინისტრ ტანაკა კაკუეის ძირითადი ეკონომიკური და სოციალური გეგმის (თებერვალი, 1973 წელი) მიხედვით შენარჩუნდა კურსი ეკონომიკური მაჩვენებლების მკვეთრი ზრდისკენ; მაკროეკონომიკურმა პოლიტიკამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ფულის რეზერვის ზრდაზე, რამაც გამოიწვია სპეკულაციები უძრავ ქონებასა და მომხმარებელთა შიდა ბაზარზე. 1973 წლის ოქტომბერში იაპონიის ინფლაციის მაჩვენებელმა ორციფრიანი ნიშნული შეადგინა, რისი გამომწვევი მიზეზიც იყო ახლო აღმოსავლეთში წარმოებული ომის გამო შექმნილი ნავთობის კრიზისი. ენერგეტიკულმა ხარჯების ზრდამ გამოიწვია იენის კურსის საკმაოდ

არასტაბილური ცვალებადობა. შედეგად იაპონიის ეკონომიკამ დაიწყო ვარდნა და რეცესიამ ეკონომიკის განვითარებაზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა. შემცირდა კერძო ინვესტიციები. 1974-9 წლებში ქვეყნის ეკონომიკის ზრდა შემცირდა 10%-დან 3.6%-მდე, ხოლო 1980-იან წლებში 4.4%-მდე. 1979 წელს მეორედ მომხდარმა ნავთობის კრიზისმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა იაპონიის მრეწველობის სტრუქტურის ფუნდამენტურ ცვლილებაში და გამოიწვია ისეთი ახალი დარგის განვითარება, როგორცაა ნახევარგამტარების წარმოება. 1970 წლის ბოლოსთვის კომპიუტერების, ნახევარგამტარი და სხვა ტექნოლოგიების, ასევე, საინფორმაციო-ინტენსიურმა მრეწველობებმა დაიწყო სწრაფი ტემპებით განვითარება.

1970-80-იან წლები გამოირჩეოდა მაღალი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლით. აღსანიშნავია, რომ ექსპორტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა იაპონიის ეკონომიკის განვითარებაში. თუმცა, სავაჭრო რეგულაციების გარშემო შექმნილმა უთანხმოებამ, რომელიც გამოწვეული იყო მაღალი გადასახადების ზრდით, იაპონია მიიყვანა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ შიდა ბაზარი მეტად გახსნილიყო და ყურადღება გაეამახვილებინათ სავაჭრო ბაზრის შიდა მოთხოვნებზე, როგორც ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელ ფაქტორზე.

### **"საპნის ბუშტის" ეკონომიკა**

1985 წელს "პლაზა აკორდის" (Plaza Accord) შემდეგ, იენის საბაზრო ღირებულება მკვეთრად გაიზარდა და 1988 წლისთვის მიაღწია 120 იენს ერთ აშშ დოლართან მიმართებაში, რაც 1971 წელს დაფიქსირებულ კურსთან შედარებით სამჯერ უფრო მეტი იყო. ამ ფაქტმა გამოიწვია საზღვარგარეთის ქვეყნებში იაპონურ ექსპორტზე ფასების მკვეთრი ზრდა და კონკურენტუნარიანობის შემცირება. თუმცა მთავრობის მიერ ჩატარებულმა ფინანსურმა ღონისძიებებმა გავლენა მოახდინა შიდა მოთხოვნის ზრდაზე.

1988-89 წლებში დაიწყო კორპორატიული ინვესტიციების მკვეთრი ზრდა. კორპორაციების დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროდ იქცა უფრო მაღალი საბაზრო ფასით განსაზღვრული ახალი სააქციო კაპიტალი, შესაბამისად ბანკები ცდილობდნენ გამოენახათ სახსრები უძრავი ქონების განვითარებისთვის. თავის მხრივ, კორპორაციები იყენებდნენ საკუთარი უძრავი ქონების ჰოლდინგებს საფონდო ბირჟაზე სპეკულაციებისთვის. ამის შედეგად, მიწის საბაზრო ღირებულება გაორმაგდა, ხოლო ტოკიო ნიკკეის საფონდო ბირჟის ინდექსი 180%-ით გაიზარდა.

მიწის ნაკვეთებზე ფასების ზრდის შესაჩერებლად 1989 წლის მაისში იაპონიის მთავრობამ განახორციელა მონიტარული პოლიტიკა. მაღალი საპროცენტო განაკვეთების შედეგად საფონდო ბირჟაზე მოხდა ფასების კლება. 1990 წლის ბოლოსთვის ტოკიოს საფონდო ბირჟის პროცენტული მაჩვენებელი დაეცა 38%-ით და ჯამში 300 ტრილიონი იენის ზარალი (2.7 ტრილიონი აშშ დოლარი) მიიღო. შესაბამისად, მიწის ფასიც საგრძნობლად შემცირდა მის

ზრდასთან შედარებით. ეკონომიკაში ასეთი ვარდნით გამოწვეული რეცესია ცნობილია. როგორც "საპნის ბუშტის ეკონომიკის გასკდომა".

## ეკონომიკა 1995 წლის შემდეგ

საპნის ბუშტის შემდგომი რეცესია გაგრძელდა 1990-იანი წლების მეორე ნახევარშიც და შემდგომ ათასწლეულშიც. ვითარების გაუმჯობესება შეიმჩნეოდა 1995-1996 წლებში, რაც ნაწილობრივ



ვაჭრობა აკიჰაბარას ელექტრო ქალაქში (ტოკიო) ამ რაიონში შეიძლება კომპიუტერებისა და საყოფაცხოვრებო ელექტრო საქონელის შექმნა

იენის კურსის ვარდნით და 1995 წელს დიდი ჰანიშ-ავაჯის მიწისძვრის შედეგების აღმოსაფხვრელად გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილებით იყო გამოწვეული. 1997 წელს, სხვადასხვა ფაქტორებმა, მათ შორის სამომხმარებლო გადასახადების გაზრდამ მთავრობის საინვესტიციო აქტივობების შემცირებამ და ძირითადი საფინანსო ინსტიტუტების გაკოტრებამ გამოიწვია რეცესიის გაუარესება. მიწაზე ფასების დაცემის შედეგად წარმოშობილი ვალების გამო საფინანსო ინსტიტუტებმა გაამკაცრეს საკრედიტო პოლიტიკა. ამიტომ კომპანიები იძულებული გახდნენ, რომ შეემცირებინათ ინვესტიციები მოწყობილობებსა და აღჭურვილობების შესაძენად. აზიის ეკონომიკური კრიზისით გამოწვეულმა ექსპორტის ვარდნამ შედეგად მიიღო მრეწველობის თითქმის ყველა დარგში მოგების

შემცირება. ასევე შემცირდა შრომითი ანაზღაურება და ხელფასი, რამაც თავის მხრივ გამოიწვია სამომხმარებლო ხარჯების შემცირება და 1998 წელს იაპონიის ეკონომიკა განიცდიდა ნულოვან ზრდას.

ეკონომიკური სტაბილურობის მისაღწევად და საჭირო თანხის მობილიზების მიზნით, 1998 წელს მთავრობის მიერ დააფუძნდა სამოცტრილიონიანი იენის ფონდი. აგრეთვე, დამატებით გამოიყო 40 ტრილიონი იენი საფინანსო ინსტიტუტების მიერ საკრედიტო საპროცენტო განაკვეთის შემცირების უზრუნველსაყოფად. 1999 ფისკალური წლის ბიუჯეტში მოხდა საჯარო პროექტების დაფინანსების ზრდა. მაგალითად, სახლის შექმნის შემთხვევაში გაზრდილი გადასახადების შემცირება; 1999 წლის თებერვლიდან იაპონიის ბანკმა დააწესა 0%-იანი მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთი თანხების მობილიზების გასაადვილებლად და ამავე წლის მარტში მთავრობამ 7.5 ტრილიონი იენი გადაურიცხა 15 მთავარი ბანკის საჯარო ფონდს.

ამ ზომებისა და აზიის ქვეყნებში იაპონურ პროდუქტზე მზარდი მოთხოვნის შედეგად, 1999 წლის ბოლოს და 2000 წელს შეიმჩნეოდა ეკონომიკის აღდგენის ნიშნები, როგორცაა საფონდო ფასებისა და ზოგიერთ სამრეწველო სფეროში შემოსავლების ზრდა. 2001 წელს, დაიწყო ქვეყნის შიდა პრობლემებით გამოწვეული ეკონომიკური დაღმავლობა: შემცირებული შიდა მოთხოვნა, დეფლაცია და გრძელვადიანი მაღალგანაკვეთიანი ვალი. ამ მხრივ ასევე დიდი როლი ითამაშა

საერთაშორისო ფაქტორებმა, რომელიც მოიცავდა აშშ-ს ეკონომიკის გაუარესების გამო იაპონური ექსპორტის შემცირებას. უმუშევრობის დონე, რომელიც 1990 წელს 2.1% იყო, 2012 წელს 4.2%-მდე გაიზარდა.



მარუნოუზი (ტოკიო)  
ოფისის თანამშრომლები  
მარუნოუზის ქუჩებში, ტოკიოს  
უდიდესი ბიზნეს ცენტრი

2002 წლიდან დაიწყო ეკონომიკის აღმავლობა, ნელი, მაგრამ სტაბილური სარეაბილიტაციო პერიოდით, რომელიც გაგრძელდა შემდგომი ათწლეულის მანძილზე. 10 წლიანი არამდგრადი პერიოდის გადალახვის შემდეგ, "საპნის ბუშტის" ეკონომიკური ვარდნის უარყოფითი შედეგები მეტწილად აღმოიფხვრა. არაკომერციულმა საკრედიტო განაკვეთმა 2002 წელს 8%-მდე, ხოლო 2006 წლისთვის 2%-მდე დაიწია, რამაც ხელი შეუწყო საბანკო სფეროს კრედიტუნარიანობის აღდგენას. ყოველივე ამან განაპირობა ბანკების, როგორც ფინანსური შუამავლების, სრულფასოვანი ჩართულობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

იაპონიის ეკონომიკისთვის შემაშფოთებელია მისი მოსახლეობის დაბერება. 2012 წლის მონაცემებით იაპონიის მოსახლეობის დაახლოებით 24.2% 65 წლის და მეტი ასაკისაა, ხოლო 2055 წელს ეს მაჩვენებელი, სავარაუდოდ, 41%-მდე გაიზარდება. შრომისუნარიანი მოსახლეობის ეფექტური მაჩვენებლის კლების გამო, აუცილებელია მოხდეს შრომის პროდუქტიულობის ზრდა და ქალებისა და 65 წელზე მეტი ასაკის ადამიანების დასაქმების ხელშეწყობა. გარდა ამისა, აუცილებლად უნდა განხორციელდეს ფუნდამენტური რეფორმები საპენსიო და სოციალური უზრუნველყოფის სისტემებში, რათა თავიდან იქნეს აცილებული თაობათა შორის მოსალოდნელი სირთულეები.

## მზარდი აზიური კავშირები

წარმოებული საქონლის წილი იაპონურ იმპორტში მნიშვნელოვნად გაიზარდა 1980-იან წლებში, რამაც 50%-ს გადააჭარბა 1990 წელს და 60%-ს - 1990-იანი წლების ბოლოს და თავის მხრივ შეამცირა საფრთხე, რაც ემუქრებოდა იაპონურ წარმოებას. 1980-იან წლებში სავაჭრო უთანხმოებათა ზრდამ და იენის ღირებულების სწრაფმა მატებამ, ძირითადი ექსპორტიორი კომპანიები, განსაკუთრებით ელექტრონიკისა და ავტომანქანების კომპანიები, აიძულა წარმოება საზღვარგარეთ გაეტანათ. ტელევიზორების, ვიდეო მაგნიტოფონებისა და მაცივრების მწარმოებელმა კომპანიებმა ქარხნები გახსნეს ჩინეთში, ტაილანდში, მალაიზიასა და აზიის სხვა ქვეყნებში, სადაც შრომის მაღალი ხარისხი და დაბალი ანაზღაურება იყო. ასეთი პროდუქტების ხარჯზე იმპორტირებული საქონლის საბაზრო წილმა გადააჭარბა ქვეყნის შიგნით წარმოებულს.

ბოლო წლების განმავლობაში ჩინეთში წარმოებული პროდუქციის იმპორტის სწრაფმა ზრდამ გარკვეული ინტერესი გამოიწვია. 2001-5 წლებში იაპონიაში ჩინეთიდან იმპორტი 170%-ითა და ჩინეთში გატანილი ექსპორტი თითქმის 235%-მდე გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ 2010 წლისათვის იაპონიაში ჩინეთის სავაჭრო წილი გაიზარდა 19.4%-მდე და გახდა უმსხვილესი სხვა ქვეყნებს შორის, რითაც გაუსწრო ამერიკის შეერთებული შტატების 15.4%-იან წილს. ჩინეთში იაპონიის ციფრული ელექტრო ტექნიკისა და ავტომანქანების ექსპორტი საკმაოდ მძლავრია და 2007 წლის შემდეგ მთლიანი ექსპორტი 100 მილიარდ დოლარს აჭარბებს. 1988 წლიდან იაპონიას ჰქონდა ხანგრძლივი სავაჭრო დეფიციტი ჩინეთთან. თუმცა, ჰონგკონგში იაპონიის ექსპორტის დიდი ნაწილის საბოლოო დანიშნულების ადგილი ისევ ჩინეთია. ამ ფაქტორის გათვალისწინებით იაპონია-ჩინეთის ვაჭრობა უნდა განვიხილოთ იაპონიის ექსპორტის თვალსაზრისით, სადაც იაპონიას აქვს მოგება.

ჩინეთსა და აზიის სხვა დანარჩენ ქვეყნებში პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის მოცულობის ერთდროული ზრდა გარკვეულწილად გამოწვეულია მუშახელის საერთაშორისო გადა-ნაწილებით, როგორც წარმოების გლობალიზაციის შედეგი. იაპონური კომპანიები ახდენენ მთავარი (დანადგარები) და დამხმარე (ნაწილები და სხვ.) საქონლის ექსპორტს იმ საწარმოო ინ-ფრასტრუქტურაში, რომელიც მათი პირდაპირი ინვესტიციების შედეგადაა აშენებული ჩინეთში, ხოლო შემდგომ გამზადებულ პროდუქციას იაპონიაში აბრუნებენ. დღეს შრომითი ბაზრის გადა-ნაწილება ვერტიკალურია, სადაც იაპონია სპეციალიზდება ცოდნისა და ინტენსიური ტექნოლო-გიების მოდულებსა და პროცესებში და ჩინეთი - ინტენსიური შრომის მოდულებსა და პროცესებში. მაშინ, როდესაც ჩინეთი და სხვა განვითარებადი ქვეყნები განაგრძობენ თავიანთი ტექნიკური შესაძლებლობების განვითარებას, იაპონური სამრეწველო ინდუსტრიის გამოწვევად რჩება - შეინარჩუნოს უპირატესობა ცოდნისა და ტექნოლოგიების სფეროში.